ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 262

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.023.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.023.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის №20.1099.1362 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა №19-ში, პირველ სართულზე, ბინა №2-ში, მდებარე 58.10 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.023.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ციალა ტორჩინავასთან (პ/ნ: 01017013275) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე